

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

ქაძანაია საქართველოს წინააღმდეგ

CASE OF KADZANAIA v. GEORGIA


(საჩივარი no. [27178/21](#))

გადაწყვეტილება

21 მარტი 2024

განსახილველი საქმის საგანი

1. საქმე შეეხება მომჩივანთა ჩივილს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით იმ სისხლის სამართლის პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელშიც მომჩივანი სამოქალაქო მხარედ ცნეს.
2. 1998 წლის 15 ოქტომბერს დააყარა დანაშაულის მომჩივანი იარაღის მუქარით. ყაჩაღმა წაიღო 22,256 აშშ დოლარი (USD) მისი ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან.
3. სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო 1998 წლის 19 ნოემბერს და 2000 წლის 24 იანვარს მომჩივანი ცნეს სამოქალაქო მხარედ სისხლის სამართლის პროცესში 22,256 დოლარის მატერიალური ზიანის გამო.




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

4. 2000 წლის 18 თებერვალს ზ.ჯ.-ს - გაერთიანებული ქართული ბანკის დაცვისა და შსს-ს თანამშრომელს - ბრალი წაუყენეს ყაჩაღობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა შენახვისათვის.
5. შემდგომი სისხლის სამართლის პროცესი შედგებოდა ექვსი ურთიერთდაკავშირებული პროცესთა წყებისგან უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის მრავალჯერადი გადატანის შედეგად, პროკურატურაში დამატებითი გამოძიებისათვის ან ქვემდგომი სასამართლოების პროცედურული საფუძვლებით. თითოეული საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე ზ.ჯ. გაამართლეს კიდევ და მსჯავრდებულადაც ცნეს. პროცესი დასრულდა 2021 წლის 29 იანვარს ზ.ჯ.-ის გამართლებით. პირველი სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც ზ.ჯ. გაამართლეს, დადგინდა, რომ მისი მსჯავრდებისათვის საკმარისი მტკიცებულება არ იყო და რომ ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედება არასწორად განხორციელდა და ზოგი კი საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, რაც ამცირებს შესაბამისი მტკიცებულების მტკიცებით ძალას. ასევე აღინიშნა, რომ გამოძიების ფარგლებში ამოღებული ტყვიები ორგანომ დაკარგა და ამასთან დაკავშირებით ცალკე გამოძიება მიმდინარეობდა. მომჩივნის სამოქალაქო სარჩელი არ დაკმაყოფილდა ზ.ჯ.-ის გამართლების გამო.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა


6. მომჩივანი კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლზე დაყრდნობით ჩიოდა სამართალწარმოების გაჭიანურებულ ვადასა და ამასთან დაკავშირებით შიდასამართლებრივი გასაჩივრების ქმედითი საშუალების არარსებობაზე.
7. მთავრობამ მიუთითა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო საჩივრის შესაბამის დროში წარუდგენლობის გამო, *ratione materiae* კონვენციის დებულებებთან შეუთავსებლობის, სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურაობის, ინდივიდუალური საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენების ან ამკარად დაუსაბუთებლობის გამო. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მომჩივნის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში წარდგენილი სამოქალაქო საჩივარი პროცედურულად არასრულყოფილი იყო და მომჩივანს არ ჰქონდა მისი დაკმაყოფილების შანსი და შესაბამისად იგი არ



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

უნდა დალოდებოდა სისხლის სამართლის პროცესის შედეგს სასამართლოში საჩივრის შესატანად. მათ ასევე განაცხადეს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მომჩივნის ჩართულობა ემსახურებოდა წმინდა სადამსჯელო მიზანს, განსხვავებით მისი ჭეშმარიტი მცდელობისაგან მიეღო კომპენსაცია. მთავრობამ დამატებით მიუთითა, რომ მომჩივანს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები: მას შეეძლო დაეწყო სამართალწარმოება იმ სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ, რომლებიც სავარაუდოდ პასუხისმგებელი არიან ზიანის აუნაზღაურებლობაზე ან/და სისხლის სამართლის პროცესის ხანგრძლივობაზე. მას ასევე შეეძლო დისციპლინური სამართალწარმოების წამოწყება სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენადაც ეს პროცესის ხანგრძლივობას ეხებოდა. მთავრობა დავობს, რომ მომჩივანმა სასამართლოს არ შეატყობინა იმ საჩივრის შესახებ, რომელიც მან 2021 წელს შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მოგვიანებით კი ეს საჩივარი უკან გამოიტანა. საბოლოოდ, მთავრობამ მიუთითა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნულ დონეზე პროცესის ხანგრძლივობა არ იყო გაუმართლებელი საქმის კომპლექსურობისა და შიდა დონეზე 2005 წლის ივლისიდან 2009 წლის იანვრამდე განხორციელებული იმ სისტემური რეფორმების გამო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სასამართლოების დატვირთვა.


8. რაც შეეხება წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო თავიდანვე იმეორებს, რომ მოვლენების დროს, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ საშუალება მისცა მომჩივანს ჩართულიყო სისხლის სამართლის პროცესში, როგორც სამოქალაქო მხარე, რათა მიეღო კომპენსაცია დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის. რასაკვირველია, იგი შეუერთდა პროცესს. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში, რომელშიც მომჩივანი ჩაერთო, გამოიყენება 6 § 1 მუხლის სამოქალაქო ნაწილი (იხილეთ *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], no. [41720/13](#), § 207, 25 ივნისი 2019, შემდგომი მითითებებით).
9. ვინაიდან უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განმეორებით გადატანის გამო სამართალწარმოების რამდენიმე წყება მიმდინარეობდა (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 5), მომჩივანს არაერთხელ მოუწია ჩამოეყალიბებინა ზიანის



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ანაზღაურების მოთხოვნა. შესაბამისად, თუ იგი პროცედურულად არასრულფასოვნად ჩამოაყალიბებდა საჩივარს, მას მაინც არ ეზღუდებოდა ახალი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა მაშინ თუ პროცესის შედეგად ბრალდებული მსჯავრდებულად იქნებოდა ცნობილი. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ვინაიდან პროცესი ბრალდებულის გამართლებით დასრულდა, მომჩივანის სამოქალაქო საჩივარი უარყოფილ იქნა სწორედ გამამართლებელი განაჩენის გამო და არა მის საჩივარში არსებული რაიმე პროცედურული ხარვეზის გამო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს ეროვნული კანონმდებლობა შეიცვალა, რის შედეგადაც დაზარალებულს მიენიჭა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სამოქალაქო სამართლით სისხლის სამართლის პროცესისა და გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, ეროვნული პრეცედენტული სამართლის მითითებით მაინც არ ყოფილა შემოთავაზებული, რომ მომჩივანს ამ საკანონმდებლო ცვლილებით სარგებლობა შეეძლო. შესაბამისად, მომჩივანი უმიზეზოდ არ დალოდებია იმ პროცესის შედეგს, რომელშიც იგი სამოქალაქო მხარედ ჩაერთო.


10. რაც შეეხება, მომჩივანის აშკარა შესაძლებლობას, ზიანის ანაზღაურების მიზნით დაიწყოს სამოქალაქო სამართალწარმოება სამთავრობო უწყებების წინააღმდეგ, სისხლის სამართლის პროცესის წარმართვაში ამ უკანასკნელის სავარაუდო შეცდომების გამო, ეს საკითხი ცდება წინამდებარე საქმის ფარგლებს, რომელიც ეხება მხოლოდ იმ პროცესის ხანგრძლივობას, რომელშიც მომჩივანი იყო სამოქალაქე მხარე. რაც შეეხება იმავე კუთხით მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანმა არ აცნობა სასამართლოს, რომ მან პროკურატურისა და შეინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ შეიტანა და მოგვიანებით გამოიტანა საჩივარი მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ეს სამართალწარმოება ეხებოდა მომჩივანისათვის მიყენებულ ზიანს, რაც გამოიწვია სავარაუდოდ მის წინააღმდეგ ჩადენილმა სისხლისსამართლებრივმა დანაშაულმა, და არა სისხლის სამართლის პროცესის ხანგრძლივობას, რომელსაც მომჩივანი შეუერთდა, როგორც სამოქალაქო მხარე და რაც მოცემული საჩივრის განხილვის საგანია. ამასთან, ასეთი საშუალების ეფექტურობა, თუ ეს საქმის განხილვის ხანგრძლივობის შესახებ საჩივარს ეხებოდა, წინამდებარე საქმეში არ ჩანს (იხილეთ ქვემოთ, პარაგრაფი 11). შესაბამისად მოცემული საჩივარი არ არის დაფუძნებული ცრუ ფაქტებზე. ამ საკითხზე სასამართლოს პრეცედენტული სამართლის



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

გათვალისწინებით (იხილეთ *Gross v. Switzerland* [GC], no. [67810/10](#), § 28, ECHR 2014, შემდგომი მითითებებით), მომჩივნის უმოქმედობა არ შეიძლება მივიჩნიოთ საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებად კონვენციის 35 § 3 მუხლის (ა) პუნქტის გაგებით.

11. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობას, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული დისციპლინური სამართალწარმოება არ არის ეფექტური საშუალება (იხილეთ *Schrade v. Georgia* [Committee], no. [15016/07](#), § 42, 11 მარტი 2021). ხოლო, რაც შეეხება სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესახებ საჩივრებთან დაკავშირებულ საკომპენსაციო საშუალებებს, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს ზიანის ანაზღაურების მიზნით უნდა დაეწყო ჩვეულებრივი სამართალწარმოება. თუმცა, მათი არგუმენტი გამყარებული არ ყოფილა რაიმე კონკრეტული მაგალითებით, რაც წარმოაჩენდა მის ეფექტურობას შესაბამის დროს და კონკრეტულად კი საქმის განხილვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით საჩივრების კონტექსტში.
12. საბოლოო ჯამში, მომჩივნის საჩივრის არსს სასამართლო არ მიიჩნევს აშკარად დაუსაბუთებლად.
13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო საჩივარს დასაშვებად აცხადებს.
14. ზოგადი პრინციპები სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შეჯამებულ იქნა საქმეში *Frydlender v. France* ([GC], no. [30979/96](#), § 43, ECHR 2000-VII), და საქმეში *Comingersoll S.A. v. Portugal* ([GC], no. [35382/97](#), § 19, ECHR 2000-IV).
15. წინამდებარე საქმეში, მომჩივანი სისხლის სამართალწარმოებას შეუერთდა როგორც სამოქალაქო მხარე 2000 წლის 24 იანვარს. ეს სამართალწარმოება დასრულდა 2021 წლის 29 იანვარს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად, სადავო სამართალწარმოების ვადა იყო 21 წელი და 5 დღე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ითვალისწინებს საქმის პროცედურულ სირთულეს და 2005 წლის ივლისიდან 2009 წლის იანვრამდე საქართველოში განხორციელებულ ფართო საკანონმდებლო რეფორმებს, და აკეთებს იმ დაშვებასაც, რომ შესაძლოა მომჩივანმა თავად შეუწყო ხელი პროცესის გაჭიანურებას იმით, რომ ორჯერ დაეთანხმა პროცესის გადადების



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


შესახებ პროკურორის შუამდგომლობას, მაინც არ არის ეს საკმარისი განსახილველი საქმის წარმოების აშკარად გადაჭარბებული ხანგრძლივობის გასამართლებლად. სასამართლო, პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ადგენს, რომ სადავო სამართალწარმოების ხანგრძლივობა ვერ აკმაყოფილებს გონივრული ვადის მოთხოვნას.

16. რაც შეეხება საკითხს, იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა მომჩივანს ხანგრძლივი სამართალწარმოების საჩივართან დაკავშირებით დაცვის ეფექტური საშუალება კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობით, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული საშუალებები არ იყო ეფექტური (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 11). შესაბამისად, სასამართლო ვერ მივა იმ დასკვნამდე, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესახებ საჩივართან დაკავშირებით მომჩივანი უზრუნველყოფილი იყო კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ეფექტური საშუალებით.
17. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, კონვენციის 6 § 1 და მე-13 მუხლების დარღვევას.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენებადობა

18. მომჩივანმა მოითხოვა 22,356 აშშ დოლარი მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 50,000 ევრო (EUR) არამატერიალური ზიანის და 4,000 ქართული ლარი სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.
19. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნები იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.
20. სასამართლო ვერ ადგენს მიზეზობრივ კავშირს დადგენილ დარღვევასა და სავარაუდო მატერიალურ ზიანს შორის; შესაბამისად იგი არ აკმაყოფილებს ამ მოტხოვნას. თუმცა იგი ანიჭებს მომჩივანს 3,800 ევროს არამატერიალური ზიანისთვის და დამატებით ნებისმიერ გადასახადს რაც შეიძლება დაეკისროს.
21. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მოთხოვნა ხარჯებსა და დანახარჯებთან დაკავშირებით არ შეიცავდა რაიმე დამამტკიცებელ დოკუმენტაციას, სასამართლო არ აკმაყოფილებს მის მოტხოვნას.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო ერთხმად



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

1. დასაშვებად ცნობს საჩივარს;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი
4. ადგენს, რომ,

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად 3,800 ევრო (სამი ათას რვა ასი) ამასთან ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გამო, გაიცემა მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის თარიღისათვის მოქმედი კურსით.

5. უარყოფს მომჩივანის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.